ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია-ანატომიის) კაბინეტი. კაბინეტს მიეწოდება წყალი და დენი. აღჭურვილია გამწოვით.<br>ლაბორატორია შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში. ლაბორატორიაში განთავსებულია კარადები, რომლებიც იკეტება და შესაბამისად მოსწავლეებისათვის ქიმიურ რეაქტივებთან თავისუფალი წვდომა შეზღუდულია, დაცულია რეაქტივების შენახვის პირობები, პერიოდულად ხდება რეაქტივების შეძენა -ლაბორატორიის შევსება.<br>ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ახალი სივრცის მოწყობა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ახალი სივრცე უფრო თანამედროვე და მოსწავლეზე ორიენტირებული იქნება, იზრდება სველი წერტილების რაოდენობა და ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ლაბორატორიით სარგებლობის წესი;<br>• ბრძანება N9 ლაბორატორიით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ 01.02.2022 წელი;<br>• სტანდარტული 208 ერთეულის შემცველი პაკეტის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში. ყველა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ფანჯრის ღიობის ფართი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ ბუნებრივ განათებულობის დონეს. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საგადახდო დავალებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში წიგნების საცავი და სამკითხველო დარბაზი ერთ სივრცეშია განთავსებული. წიგნების საინვენტარო ჟურნალის მიხედვით წიგნადი ფონდი შეადგენს 3081 ერთეულს. მათ შორის: გრიფირებული სახელმძღვანელოები-193 ერთეული, პერიოდიკა-50 ერთეული, მეთოდური ლიტერატურა-95 ერთეული, საბავშო და მხატვრული ლიტერატურა წარმოდგენილია როგორც ქართულ ასევე რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.<br>ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური და სისტემური კატალოგის მიხედვით.<br>ბიბლიოთეკაში განთავსებულია 4 ნოუთბუქი მოსწავლეებისათვის და ერთი სტაციონარული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის. არის პრინტერი და ინტერნეტი.<br>ბიბლიოთეკარს აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია შემეცნებითი ღონისძიებები მოსწავლეებისათვის. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • წიგნების შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა;<br>• ბიბლიოთეკარის წლიური ანგარიში;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | იმ სსსმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას შენობის სართულების მიხედვით მოწყობილ სველ წერტილებში (ცალ-ცალკე გოგონებისთვის და ვაჟებისთვის) განთავსებულია ადაპტირებული წერტილები შშმ პირებისათვის. (ჯამში 3 წერტილ გოგონებისა და 3 -ვაჟებისათვის). დაწესებულების პირველ და მეორე სართულზე მოსახვედრად გარემო ადაპტირებულია (პირველი სართული მიწისპირზეა და მოსწავლე პირდაპირ შეიძლება მოხვდეს როგორც ექიმის კაბინეტში, ასევე კვების ბლოკში, მეორე სართულს აქვს ეზოს მხრიდან პანდუსი რაც შეეხება მესამე და მეოთხე სართულებს, დაწესებულებას შენობაში გამოყოფილი აქვს ლიფტის დასამონტაჟებლად სივრცე, ლიფტის შესაძენად თანხის ნაწილი გადახდილია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სკოლა ელოდება უკვე ოქტომბერში რომ ჩამოვა ლიფტი და დაამონტაჟებენ. მათივე თქმით ლიფტის დამონტაჟების შემდეგ დაიწყება შენობის ექსპლოატაციაში ჩაბარების პროცედურის წარმოებაც.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლას ეტლით მოსარგებლე მოსწავლე არ ჰყავდა. ლფტის დამონტაჟების შემდეგ სკოლა იქნება სრულად ადაპტირებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • საგადახდო დავალება (ლიფტის შესყიდვის);<br>• ინტრევიუ სკოლის დირექტორთან;<br>• სტრატეგიული განვითარების გეგმა;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------- ბ. მუმლაძე
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ჯამში სკოლის მფლობელობაშია 48 ერთეული ლეპტოპი და სტაციონარული კომპიუტერი. მათ შორის მოსწავლეებისათვის გამოყოფილია 34. აქედან კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 18 კომპიუტერი.<br>DSL ინტერნეტ მომსახურებას ანხორციელებს კომპანია შპს ,,ახალი ქსელები" და კომპანია მაგთიკომი, გაფორმებულია დომენისა და ჰოსტინგის შესახებ ხელშეკრულებები შპს „ქლაუდ ცხრასთან".<br>სკოლის ვებგვერდია www.tis.edu.ge, ხოლო სოციალური ქსელია https://www.facebook.com/TbilisiInternationalSchool.<br>სკოლის ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. ინფორმაცია სკოლის ვებგვერდზე განახლებულია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხელშეკრულება შპს „ქლაუდ ცხრასთან";<br>• საგადახდო დავალებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, სადაც გაწერილია სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა ვალდებულებები და შესაბამისი ქმედებები ხანძრის ან წვის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში.<br>სკოლის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია ცეცხლმაქრები. ცეცხლმაქრები დამუხტულია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო, კვამლის აღმომჩენი დეტექტორების სისტემა, ხმოვანი სასიგნალო მოწყობილობები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები;<br>• საგადახდო დავალებები, ცეცხლმაქრების და კვამლის დეტექტორების შეძენაზე;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმა და სახანძრო-საევაკუაციო გასასვლელების მიმართულების მანათობელი ნიშნები. სკოლას აქვს პირველ სართულზე პირდაპირ ეზოში გასასვლელი 2 კარები (სასადილო და ექიმის კაბინეტი) მეორე სართულზე-3 კარები ეზოში გასასვლელად, მესამე და მეოთხე სართულებისთვის არის საევაკუაციო კიბე. სკოლის შენობაში არის 2 შიდა კიბე სართულებზე გადასაადგილებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა“ (ბრძანება N66, 05.09.2019), გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.<br>სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე. მას აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება, სველი წერტილი. კაბინეტიდან შესაძლებელია პირდაპირ სკოლის ეზოში გასვლა.<br>კაბინეტი მოწყობილია კანონმდებლობის შესაბამისად. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფარმაცევტული საშუალებებით .<br>სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს როგორც ექიმთან ასევე ექთანთან. ექიმი აღრიცხავს გაცემულ მედიკამენტებს, ამოწმებს სკოლის სასადილოს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა“ (ბრძანება N66, 05.09.2019);<br>• საგადახდო დავალებები ;<br>• სასაქნლო ზედნადებები;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიუ სკოლის ექთანთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა შინაგანაწესის მე-13 თავის 41-ე მუხლით იღებს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ნორმები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებისთან დაკავშირებით.<br>სკოლამ ასევე მოამზადა საკუთრი დოკუმეტი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებისთან დაკავშირებით და მიმდინარე წლის 26 სექტემბერს გააგზავნა წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმების შესახებ.<br>დამატებით სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა.<br>2022 წლის 7 სექტემბრის ბრძანებით N24, განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი-უსაფრთხოების მანდატური. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესი;<br>• სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დროს გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექტორთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის გარე პერიმეტრი- ეზო, შენობაში შესასვლელი ყველა კარები სრულად კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. რაც შეეხება სკოლის შიდა პერიმეტრს, კიბის ორი უჯრედიდან ერთი კონტროლდება სრულად, თუმცა ლიფტის დამონტაჟების შემდგომ საჭირო გახდება დამატებითი ვიდეოკამერების დამონტაჟება, ვინაიდან ლიფტის დამონტაჟების შემდეგ მოქმედი/არსებულ ვიდეომეთვალყურეობის კამერების ხედვის არეალი შეიზღუდება და სრულად ვერ მოხდება კიბის უჯრედის გაკონტროლება. კიბის მეორე უჯრედშიც, რომელიც დირექციის თქმით არ გამოიყენება მოსწავლეთა სიმცირის გამო და დაკეტილია, დასამატებელია ვიდეოკამერები. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია დამატებით სათვალთვალო კამერების დამატება მიმდინარე წელს.<br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაამონტაჟოს დამატებითი ვიდეომეთვალყურეობის სისტემა კიბის უჯრედებზე.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიუ დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, დებულება და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები (პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, სასკოლო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი და სხვა).<br>სკოლის დებულება აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების-თბილისის საერთაშორისო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურას, სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქციებს.<br>სკოლის შინაგანაწესით რეგურლირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, მოსწავლეების და დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური წარმოების თავისებურებანი, მატერიალური პასუხისმგებლობა, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე და მათი მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერი პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • დებულება;<br>• შინაგანაწესი;<br>• პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• სასკოლო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;<br>• ინტერვიუ დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია სკოლის მისიის მოთხოვნები და შესაბამისად აქცენტი გაკეთებულია სკოლის, როგორც ძლიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნაზე, ზოგადი განათლების სფეროს განვითარებაზე, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. თანამშრომლობაზე და სასწავლო რესურსების მობილიზებაზე.<br>სკოლას 2022 წლის 7 სექტემბერს დირექტორის სამართლებრივ ადმინისტრაციული აქტით დამტკიცებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექვსწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის პრეამბულაშიც ჩაწერილია, რომ<br>სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებებია:<br>• ძლიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა;<br>• ზოგადი განათლების სფეროს განვითარება;<br>• სკოლის ბრენდის გაძლიერება;<br>• ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა;<br>• კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსის მოზიდვა, შენარჩუნებაპროფესიული განვითარების მხარდაჭერა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა;<br>• სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;<br>• სკოლის კულტურის გაუმჯობესება; დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა;<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია.<br>სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ბმაში სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი (2022-2023 წწ) სამოქმედო გეგმა, რომლის პრიორიტებიცაა: ავტორიზაციის მიღება, ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის განვითრება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება, თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, მოსწავლეების მოზიდვა და მათი რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივ და საზღვარგარეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთნ თანამშრომლობა, სასწავლო რესურსების შექმნა, თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების დანერგვა, საზაფხულო და ზამთრის შემეცნებითი გასართობი ბანაკების მოწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2022 წლის 7 სექტემბერის ბრძანება N21;<br>• 2022 წლის 7 სექტემბერის ბრძანება N22;<br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექვსწლიანი (გრძელვადიანი) სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა;<br>• SWOT ანალიზი;<br>• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორეპონდენციის აღრიცხვა სკოლის დირექტორის მიერ 01.02.2022 წლის N6 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმიების წესის მიხედვით.<br>სკოლაში აღირიცხება/იწარმოება:<br>• შემოსული კორესპონდენცია;<br>• გასული კორესპონდენცია;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• სკოლის დირექტორის ბრძანებები;<br>• მოსწავლეთა მობილობის შესახებ ბრძანებები;<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი.<br>დოკუმენტაციის არღიცხვის მიზნით სკოლაში მოქმედებს:<br>• შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისჟურნალი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი (საკადრო და საერთო);<br>• მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებული (მობილობა, შეწყვეტა, შეჩერება) შესახებ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი.<br>ყველა ჟურნალი აკინძულია, გვერდები დანომრილია და ბეჭედდასმულია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისჟურნალი;<br>• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი (საკადრო და საერთო);<br>• მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებული (მობილობა, შეწყვეტა, შეჩერება) შესახებ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი;<br>• საქმისწარმოების წესი;<br>• ბრძანება N6, 01.02.2022 წელი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | დამატებითი ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება კიბის უჯრედებზე. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | თბილისის საერთაშორისო სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში 50 პედაგოგია, მათ შორის 12 უსტატუსო მასწავლებელი. ერთი გახანგრძლივებული წრის მასწავლებელი. სულ თბილისის საერთაშორისო სკოლაში მუშაობს 67 თანამშრომელი.<br>ადმინისტრაციული სტრუქტურას წარმოადგენს: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ხარისხის მართვის მენეჯერი, პიარმენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, იურისტი, IT სპეციალისტი, დაცვის სამსახურის უფროსი. დამხმარე და ტექნიკური პერსონალს წარმოადგენენ: ექიმი, ექთანი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკარი, დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელები, დიასახლისი,მასწავლებლის ასისტენტი.<br>ასევე საშტატო ნუსხით სკოლას ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია შესაბამის დებულებებში და თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივ ბადეს.<br>სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. მათ პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეესაბამება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები;<br>• დასაქმებულ პირთა პირადი საქმე;<br>• Eschool-ბაზა ;<br>დებულება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 51 |
| მოწვეული/მაძიებელი | 2 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 12 (უსტატუსო) |
| უფროსი მასწავლებლი | 34 |
| წამყვანი მასწავლებლი | 3 |
| მენტორის სტატუსი | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისის საერთაშორისო სკოლაში მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. პედაგოგებს აქვთ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელიც უნდა ასწავლონ. მასწავლებლები შეირჩნენ კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად.<br>,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-1 მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს სკოლაში დასაქმებული პირებისთვის კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა-გათვალისწინებით სამუშაოზე მისაღებად, მუშაკის სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტების ნუსხაში, და შესაბამისად პედაგოგების პირად საქმეებშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ცნობები.<br>პირად საქმეებში წარმოდგენილია მასწავლებლების ცნობები ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, მასწავლებელთა სტატუსების ამსახველი დოკუმენტაცია, სერტიფიკატები.<br>სკოლის მასწავლებელებს აქვთ პორტფოლიო. მასწავლებელთა პორტფოლიოები შეიცავს მასწავლებელის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• მასწავლებლების პორტფოლიო;<br>• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>• საკონკურსო დოკუმენტაცია;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. დოკუმენტში აღწერილია კონკურსის გამოცხადების წესები და პროცედურები, მათ შორის - მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, კონკურსის შედეგები და სხვა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია სკოლაში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. სკოლაში დასაქმებული შრომით ხელშეკრულებასთან ერთად ეცნობა სკოლის შინაგანაწესს და ადასტურებს ხელმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კონკურსის ჩატარების წესი;<br>• სკოლის შინაგანაწესი; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | კოდექსის შესაბამისად.<br>პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოქმედებს განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადით.<br>შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.<br>თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით.<br>შრომით ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება მასწავლებლის სტატუსები უფროსი/წამყვანი, თუმცა ხელშეკრულებაში მასწავლებლის პროფესიული საქმიანობები გაწერილია მუხლი 4.3 -ში მასწავლებლის სტატუსების შესაბამისად. დაწესებულებას მიეცა რჩევა ხელშეკრულებებში ასახოს მასწავლებლის სტატუსები.<br>ასევე რიგ შემთხვევაში **შესაბამისობაშია მოსაყვანი eschool-ის ბაზაში მასწავლებლების სტატუსი და ხელშეკრეულებაში მითითებული მასწავლებლის სტატუსი. კერძოდ, eschool-ის ბაზაში 12 მასწავლებელი არის უსტატუსოდ, 2021 წლის 6 სექტემბერს აღნიშნულ მასწავლებლებთან დადებულია მაძიებელი მასწავლებლის ხელშეკრულება.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• პერსონალის პირადი საქმეები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება, დებულებაში განსაზღვრულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკა.<br>სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტებით.<br>ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულების შესაბამისად მიმდინარეობს მასწავლებლების მუშაობის მონიტორინგი და ხდება მათი საჭიროებების იდენტიფიცირება.<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები.<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, დირექტორთან შეთანხმებით.<br>დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით თბილისის საერთაშორისო სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში;<br>დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოფს მათი მონაწილეობას პროფესიული და კარიერულგანვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები;<br>• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;<br>• სერტიფიკატები;<br>• ბრძანება N33, 2022 წლის 7 სექტემბერი. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობის შესახებ;<br>• ბრძანება N29, 2022 წელი 7 სექტემბერი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თბილისი საერთაშორისო სკოლის დირექცია ხელს უწყობს დაწესებულებაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას და განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სკოლის მასწავლებლებში არის ერთსულოვნებისა და გუნდურობის განცდა. დირექცია კეთილგანწყობილია მოსწავლეებისადმი, მასწავლებლებისა და მშობლებისადმი.<br>სკოლაში გათვალისწინებულია თავისუფალი სივრცეები მოსწავლეთათვის არაფორმალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება სკოლაში, არასაგაკვეთილო დროს იმუშაონ დამოუკიდებლად ან გუნდურად და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები.<br>სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას.<br>სკოლაში მოქმედებს დაცულობის, კეთილგანწყობის, პასუხისმგებლობების გადანაწილების და ასევე უფლება-მოვალეობების დელეგირების სიტემა.<br>მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ სასკოლო სასწავლო გეგმაზე და სასწავლო რესურსების შექმნაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ობიექტურად აფასებენ საკუთარ გამოწვევებს და მათთან გამკლავების ეფექტიან გზად ურთიერთთანამშრომლობას მიიჩნევენ.<br>სკოლა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ, აღმზრდელობით ღონისძიებებს და ექსკურსიებს, რომლებშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი - მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი. საგანმანათლებლო დაწესებულება ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გადაცდომების წინააღმდეგ. სკოლის დირექცია და მასწავლებლები მუდმივად ხელს უწყობენ მოსწავლეთა წახალისებას და მათ ჩართვას სასკოლო და საერთაშორისო პროექტებში და სხვა ღონისძიებებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ინტერვიურება სასკოლო საზოგადოებასთან;<br>• საერთაშორისო და სასკოლო პროექტების და ღონიძიებების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სრულ შესაბამისობაში მოვიდეს eschool-ის ბაზაში მასწავლებლების სტატუსი და ხელშეკრეულებაში მითითებული მასწავლებლის სტატუსი. |
| რჩევები: | შრომით ხელშეკრულებებში დაფიქსირდეს მასწავლებლის სტატუსები უფროსი/წამყვანი, |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. საათობრივი ბადე 5 გვ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

დანართი 2. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება 2022-2023 სასწავლო წელი 1 გვ.
დანართი 3. ექსპერტიზის დასკვნა 13 ფაილი
დანართი 4. საგადახდო დავალება 2 გვერდი

თბილისი
............................

24.10.2022 წ.

(შევსების ადგილი)

თარიღი

გვერდების რაოდენობა 46



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.